

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

როგორ გავუღვივოთ მოსწავლეს წიგნის სიყვარული გამოვიყენოთ - პროექტი „ჩვენი ბიბლიოთეკა“

მზია ბოლქვაძე

წონიარისის საჯარო სკოლის ქართული ენა და ლიტერატურის მასწავლებელი

ანოტაცია

ნაშრომში საუბარია სასკოლო პროექტის როლსა და მნიშვნელობაზე მოსწავლეთა ინტერესისა და აქტივობის გამოწვევის თვალსაზრისით. კერძოდ, ნაშრომში განხილულია მე-6 კლასის მოსწავლეთა მიერ პროექტის „ჩვენი ბიბლიოთეკა“ განხორციელება. შედეგად, მოსწავლეებს შეეცვალათ დამოკიდებულება წიგნისადმი, გაჩნდა წიგნის მოვლის და გაფრთხილების სურვილი, ბავშვებს შეუყვარდათ ბიბლიოთეკა, რომელიც თავად შექმნეს, გაუჩნდათ მისი დაცვის და შევსების სურვილი. ეს უმთავრესი შედეგია, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება შემდგომი ნაბიჯები წიგნის კითხვის მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: მოსწავლე, წიგნი, ბიბლიოთეკა პროექტი

XXI საუკუნისათვის დამახასიათებელმა ტექნიკურმა პროგრესმა გამოიწვია მომავალი თაობის დაინტერესება და გატაცება მხოლოდ თანამედროვე ტექნიკის მიღწევებით. ამან კი ახლგაზრდობა მოწყვიტა წიგნიერებას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგრძნობა მათი წიგნისადმი „სიყვარულის დეფიციტი.“ ეს თემა ამ ბოლოს რამდენადაც აქტუალურია, იმდენად რთულად მოსაგვარებელია.

„გოეთე ამბობს: „იცით როგორ მკითხველს ვინატრები? ისეთს, რომელიც მეც, თავის თავსაც და მთელ სამყაროსაც დაივიწყებდა და მხოლოდ ჩემს წიგნში იარსებებდა.“

ამჯერად საუბარი გვაქვს არა იმაზე, თუ როგორ მხატვრულ კომუნიკაციას ამყარებს მკითხველი ნაწარმოებთან, არამედ იმაზე, სურს კი საერთოდ მიიღოს ტკბობა იმ ორმოცდაათი წიგნის წაკითხვით, რომელიც ყველა ქართველმა უნდა წაკითხოს თავის სიცოცხლის მანძილზე?

მოსწავლისათვის მხოლოდ ლიტერატურის გაკვეთილზე წაკითხული და ნასწავლი ნაწარმოებები არაა საკმარისი მათში წიგნის კითხვის სიყვარულის გასაღვივებლად და, ვფიქრობ, ეს ტვირთი, ამ საგნის მასწავლებლებმა ასმაგად უნდა ვიტვირთოთ.

მე-6 კლასის ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოს პირველი თავის სათაურია „წიგნი“. მასში შესული მოთხრობებისა და დამატებითი ამოცანის - როგორ გამოვიყენოთ

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

წიგნების კატალოგი - მიზანია მოსწავლეების წიგნის კითხვით დაინტერესება, მოთხოვნების თემატიკაც მიმართულია წიგნის კითხვის სიყვარულზე, მაგრამ ამ ტექსტების მხატვრული გააზრება და პერსონაჟების დახასიათება არაა საკმარისი მიზნის მისაღწევად.

ყველა საგაკვეთილო პრობლემის მოგვარება, რა თქმა უნდა, პედაგოგიკის თანამედროვე და მრავალფეროვანი სასწავლო სტრატეგიებთანაა შესაძლებელი, ამიტომ სწორად შერჩეული აქტივობა პედაგოგისთვის იგივეა, რაც ექიმის მიერ სწორედ გამოწერილი წამალი.

ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, VI კლასში ქართულის სწავლის შედეგად „მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად წაიკითხოს სხვადასხვა სახისა და ნაირგვარი შინაარსის ტექსტები, ქართ. VI. 10., მოსწავლეს აქვს კითხვის პროცესით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემის უნარი.“ მოსწავლეთა დაინტერესებისა და, შესაბამისად, ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგზე გასვლის მიზნით, გადაწყვიტე არჩევანი გამეკეთებინა პროექტით სწავლების სტრატეგიაზე, რომელიც, ჩემი აზრით, როგორც მოსწავლეთათვის განსხვავებული აქტივობა, გამოიწვევდა მოსწავლეთა ინტერესისა და მოტივაციის გაზრდას.

პროექტი, როგორც სტრატეგია, განათლების სფეროში მე- 20 საუკუნის დასაწყისში გახდა აქტუალური. ის არის კონკრეტული პრობლემის მოგვარებისკენ მიმართული სტრატეგია, რომელიც მოსწავლეებს უვითარებს კლავით და შემოქმედებით უნარებს, პრობლემის დასმისა და გადაწყვეტის უნარს, თანამშრომლობისა და კომუნიკაციის ჩვევებს და სხვ. ეს სტრატეგია საშუალებას იძლევა სწავლა-სწავლება გახდეს აქტიური და მიზანმიმართული. ამიტომ, ამ აქტივობის პერიოდულად გამოყენება სწავლების პროცესში, მოსწავლეთათვის სახლისოცაა და შედეგიანიც. სასწავლო პრაქტიკაში ცნობილია, რომ ამ აქტივობას მოსწავლეები ყოველთვის ინტერესით ეკიდებიან, ვინაიდან ისინი პროექტზე მუშაობის პროცესში გრძნობენ დამოუკიდებლობას და პასუხისმგებლობას.

პროექტს, რომელიც განვახორციელეთ მე-6 კლასში, დავარქვით „ჩვენი ბიბლიოთეკა“

პრობლემის აღწერა: მომავალი თაობა დაინტერესებული და გატაცებულია მხოლოდ თანამედროვე ტექნიკური მიღწევებით, ყოველივე ამან ჩვენს თაობას დაუკარგა წიგნის კითხვის სიყვარული.

პროექტის მიზანი: წიგნით მოსწავლეთა დაინტერესება, კითხვის სიყვარულის გაღვივება განხორციელების გზები:

საკლასო ბიბლიოთეკის მოწყობა

1. წიგნების შეგროვება,

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

2. მათი შეკეთება, დანომრვა,
3. კარადაში მათი თემატური განლაგება

რესურსები: წებო, ფერადი ფურცლები, მუყაოს ფურცლები, ფერადი ფანქრები, საღებავები, ფლომასტერები, მკითხველის ბარათები, მუყაოს ყუთი.

მოსალოდნელი შედეგები: უპირველესად მოსწავლეებს გაუღვივდებათ წიგნისადმი ფაქიზი დამოკიდებულება და სიყვარული, შეიძენენ კვლევა-ძიების, ანალიზის, სინთეზის, გუნდური მუშაობისა და სოციალურ უნარ-ჩვევებს.

პროექტის პირველ ეტაპი: მოსწავლეებს გავაცანი მათი სახელმძღვანელოს პირველ თავში მოცემული მოთხრობების მიზანი, რომელიც ითვალისწინებდა მათთვის წიგნის კითხვის სიყვარულის გაღვივებას.

შემდეგ დავსვი კითხვა, რამდენი მოსწავლე დადიოდა ბიბლიოთეკაში. აღმოჩნდა რომ მთელი კლასის მესამედი სარგებლოდა ბიბლიოთეკით, ისიც მხოლოდ ინფორმაციის მოსაძიებლად, ინტერნეტის არქონის შემთხვევაში, ამ მესამედშიც კი, მხოლოდ ნაწილი იყო დაინტერესებული მხატვრული ლიტერატურის კითხვით.

კითხვაზე რა წესით იყო ბიბლიოთეკაში თაროზე წიგნები განლაგებული, უპასუხა მხოლოდ ნახევარმა, ისიც არაზუსტად, ბუნდოვნად, გაუბედავად. მთხოვეს ამეხსნა მათთვის.. მე კი ვურჩიე ეს საქმე ერთად გამოგვეკვლია ბიბლიოთეკარის დახმარებით. შევთავაზე, თუ სურვილი ექნებოდათ, გაკვეთილის შემდეგ გაგვესეირნა სასკოლო ბიბლიოთეკაში, სადაც ბიბლიოთეკარი ბარათების საშუალებით დაგვებმარებოდა სასურველი წიგნების მოძიებაში და თან გვასწავლიდა ამ საქმეს.

გაკვეთილის შემდეგ, უკლებლივ მთელი კლასი აღმოვჩნდი სასკოლო ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკარის მიერ მინი ლექციის მოსმენის შემდეგ, შევთამხმდით მეორე შეხვედრაზეც, რომელიც მოსწავლეების ინიციატივით დაიგეგმა.

მესამე შეხვედრაზე, უკვე მოსწავლეები დამოუკიდებლად კითხულობდნენ ბარათზე მოთავსებულ ინფორმაციას და იღებდნენ თაროდან წიგნებს.

მერე მოსწავლეებს შევთავაზე ჩემი იდეა, კლასში მოგვეწყო პატარა ბიბლიოთეკა, რადგან ამის უნარი უკვე გვქონდა. გადაწყვიტეს მთლიანი კლასი ერთიანად ჩაბმულიყო ამ საქმეში. დაგვემეს მოსახლეობის მიერ ეგრეთწოდებული „სანაგვეზე მიყრილი“ წიგნების მოგროვება და საკლასო ბიბლიოთეკის შექმნა. ასე დაიბადა საგანმანათლებლო პროექტი: „ჩვენი ბიბლიოთეკა“.

დავიწყეთ ოჯახებიდან წიგნების შეგროვება - ერთი კვირის მანძილზე მოსწავლეები აგროვებდნენ და კლასში მოჰქონდათ „მაკულატურად“ ქცეული წიგნები. ამან თითქმის

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

კონკურსის სახე მიიღო, მოსწავლეები ცდილობდნენ რაც შეიძლებოდა მეტი წიგნი მოეტანათ. მოჰქონდათ წიგნები, რომლებიც ოჯახში არაფერში სჭირდებოდათ, უფრო მეტიც, ზოგიერთი ზამთრისთვის ცეცხლის დასანთებად იყო განწირული.

მეორე ეტაპი: შეგროვილი წიგნები გადავანაწილეთ. მოსწავლეებმა წიგნები დაამუშავეს - ზოგს ყდა გაულამაზეს, დახეული ფურცლები დააწებეს, მოაწესრიგეს.

მესამე ეტაპი: მოსწავლეებმა თავად დანომრეს წიგნები, შეადგინეს კატალოგი, და დაალაგეს წიგნების თაროებზე თემების შესაბამისად. პერიოდულად რჩევისათვის მიმართავდნენ სკოლის ბიბლიოთეკარს.

მეხუთე ეტაპი: მას შემდეგ, რაც შეიქმნა კლასის ბიბლიოთეკა, მოსწავლეებმა დაიწყეს წიგნის გამოწერა, წაკითხვა და რამდენიმე დღის შემდეგ ისევ მისი თაროზე დაბრუნება.

შედეგების ანალიზი: უპირველესად, მოსწავლეებს შეეცვალათ დამოკიდებულება წიგნისადმი, გაჩნდა წიგნის მოვლის და გაფრთხილების სურვილი, ბავშვებს შეუყვარდათ ბიბლიოთეკა, რომელიც თავად შექმნეს, გაუჩნდათ მისი დაცვის და შევსების სურვილი. წიგნი მათ თვალში, აღარ არის მხოლოდ აკინძული ფურცლები, ის ინფორმაციის და ცოდნის წყაროა, რომელსაც მოფრთხილება სჭირდება. ეს უმთავრესი შედეგია, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება შემდგომი ნაბიჯები წიგნის კითხვის მიმართულებით.

ამას გარდა, ამ პროექტით, მოსწავლეებმა გაიღრმავეს გუნდური მუშაობისა და სოციალური უნარ-ჩვევები. მოსწავლეები გამოხატავდნენ კმაყოფილებას, ისინი ჩაებნენ არა მარტო საკლასო, არამედ სასკოლო ბიბლიოთეკაშიც.

პროექტის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვე გაეხსენებინათ მიზანი, რომელიც პირველი თავის სწავლის შედეგად უნდა მიგველო. მათ აღნიშნეს, რომ ამ პროექტის შესრულების შემდეგ, ბევრ მათგანს შეეცვალა დამოკიდებულება წიგნისადმი.

და კიდევ, ბიბლიოთეკაში მოსწავლეთა აქტივობის შესწავლამ აჩვენა, რომ პროექტის განხორციელების შემდეგ, ბიბლიოთეკიდან გატანილი წიგნების რაოდენობა 20% -ით აღემატებოდა მანამდე გატანილს.

ეს იყო კონკრეტული აქტივობა, რომელიც დამეხმარა დასახული მიზნის მიღწევაში. რა თქმა უნდა, არ უნდა შევიქმნათ ილუზია, რომ წიგნს მოსწავლეს პროექტის ერთჯერედად განხორციელებით შევაცვარებთ, მაგრამ ამ აქტივობამ ცხადყო, რომ მასწავლებელმა მუდმივად უნდა ეძებოს გზები, სისტემატიურად უნდა მიმართოს აქტივობათა და მეთოდთა ცვლას, რათა გამოიწვიოს მოსწავლეთა ინტერესი და აქტივობა. მხოლოდ ასე, ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ შეიძლება დავუბრუნოთ მოსწავლეს წიგნი.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რეზო ყარაღაშვილი „მხატვრული ნაწარმოების აღქმა“,
2. ქართულის სახელმძღვანელო, ნუგზარ მუზარაშვილი, თბილისი, კეკელიძის ქუჩა 6, გამომცემლობა „დიოგენე“, 2008.
3. „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკლავი, ნაწილი I,II , 2015 წელი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი.
4. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2011-2016